ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციები საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის

სურსათის ეროვნული სააგენტო საზოგადოებრივი კვების ობიექტების სახელმწიფო კონტროლს აქტიურად ახორციელებს და ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების რისკის თავიდან აცილების მიზნით, საზოგადოებრივი კვების ობიექტებს - ბიზნესოპერატორებს შესაბამის რეკომენდაციებს აძლევს.

რეკომენდაციები ბიზნესოპერატორთათვის:

- გაზარდეთ ობიექტში ყველა სახის ინვენტარის, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის რეცხვა-დეზინფექციის სიხშირე;
- ობიექტის შესასვლელსა და გამოსასვლელთან განათავსეთ სპეციალური სადეზინფექციო ხსნარიანი მოწყობილობა (რეკომენდებულია სადეზინფექციო ხსნარის სპირტშემცველობა შეადგენდეს არანაკლებ 60 %-ს);
- სადეზინფექციო ხსნარიან მოწყობილობასთან განათავსეთ ხელების დეზინფექციის ინსტრუქცია;
- ხელსაბანთან განათავსეთ ხელის დაბანის ინსტრუქცია;
- გამოყენებული ერთჯერადი პარკების, ხელსახოცების, პირბადეების, ხელთათმანების ჩასაყრელად განათავსეთ ნაგვის ურნები, მექანიკური (ფეხით) ასახდელი თავსახურებით;
- ნაგვის ურნების შიგთავსი მოათავსეთ პლასტიკის პარკებში და თავი მჭიდროდ მოუკარით, შემდეგ მოათავსეთ მეორე პარკში, რომელსაც თავს ასევე მჭიდროდ მოუკრავთ;
- ნაგვის ურნები დაცალეთ სათანადო სიხშირითა და პირობების დაცვით;
- ხშირად დაამუშავეთ კარის სახელურები სადეზინფექციო ხსნარებით;
- შესაძლებლობის მიხედვით გამოიყენეთ სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებებისათვის დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაცია.

რეკომენდაციებს სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფები ბიზნესოპერატორებს შემოწმებისას გააცნობენ და ასევე დაეგზავნებათ წერილობითი ფორმით